ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3748473

ნომერი: AR1564779

თარიღი : 14.12.2017

გაცემის თარიღი : 21.12.2017

გაცნობის თარიღი : 22.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:
- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართებზე ფიქსირდება სარგებლობა, იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გაცემულ ფართებს, წარმოსადგენია მოსარგებლის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის/პირების მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 -დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შენობებთან და ნაგებობებთან მოწყობილ ავტომობილთა სადგომებზე საჭიროა გამოყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ადგილების არანაკლებ 10 პროცენტისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შშმ- პირთათვის განკუთვნილი ავტოსადგომის ადილას ელექტრო ავტომობილთა ავტოსადგომის მოწყობაზე სამსახური თანხმობას ვერ გასცემს. დოკუმენტაცია დაკორექტირდეს შესაბამისად და წარმოდგენილ იქნას უკეტესი ხარისხის ფოტომონტაჟი საპროექტო პანელის ასახვით და გაბარიტული ზომების მითითებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.